№ 47

პარასკევი, 4 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 47

 პარასკევი, 4 მარტი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**კონსტანტინე ივანესძე ჯაფარიძე, ქეთევან ზაქარიას ასული ჩოლაყაშვილისა და კონსტანტინე გიორგის ძე ვეზირიშვილი**
გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისას, მეორე შვილის შვილისას და მესამე დისას **დარია გიორგის ასულის ჯაფარაძისას** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზე. მიცვალებულს დაასაფლავებენ 5 მარტს ქ. სიღნაღს.

ტელეფონი № 92.

საწყობი ვოკზლის ახლო ავჭალის ქუჩის ბოლოს.

## ნავთი საუკეთესო თვისებისა

ამ ნავთს მჭვარტლი და სუნი სრულებით არა აქვს, რაც დაამტკიცა საბჭოს დარბაზის განათებამ ყოველ ხმოსანთა კრებაზედ. ეს ნავთი ტფილისში იშოვება მხოლოდ საწყობში

## ამხანაგობისა „სვეტ“

შემზადება ამ ნავთისა შეკვეთილია განსაკუთრებით ბაქოში **ი. გ. გორინის** ნავთის ქარხანაში. ფერი ნავთისა 1/2 მარკი, როცა ამთია არც სუნი აქვს და არც მჭვარტლი, ალი ნამდვილი თეთრი აქვს, ათი საათის განმავლობაში ალს ძლიერება არ აკლდება. **ფუთი ღირს** 1 მანეთი გაუგზავნელად და გაგზავნით 1 მან. და 10 კ. თითოეულ მუშტარს იმის დასამტკიცებლად, რომ ნავთი სწორედ ამ ამხანაგობისაა, მიეცემათ ანგარიში ამხანაგობის ბეჭედ დასმული. დაკვეთა შეიძლება ტელეფონით და ქალაქის ფოსტით არა ნაკლებ 3 ფუთისა და გაეგზავნებათ მეორე დღესვე. ნავთი გაეგზავნებათ რკინის ქვაბებით ამ წარწერით «ნავთი საუკეთესო თვისებისა ნავთის ამხანაგობისა» «სვეტ». (10—4)

## მოამბის

რედაქციისაგან

რადგან ჟურნალი «მოამბის» I ნომერი სულ დაურიგდა ხელის მომწერლებს, რედაქცია ხელ მეორედ ჰბეჭდავს ამ ნომერს და ახალ ხელის მომწერთ პირველი წიგნი აპრილის შუა რიცხვებში გაეგზავნებათ. (6—1)

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, წიგნების გამომცემელთ მაღაზიაში

და სხვებთან

ისყიდება

## ქართული ანბანი

კუბიკებზედ

გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული

ფასი ერთი მანეთი ყუთით. (3—1)

## ტფილისი, 4 მარტს

საოცარის შემთხვევის წყალობით, სწორედ მაშინ, როდესაც რუსეთში დიდი სიმშილობა ჩამოვარდა, დაკეტილ იქმნა ორადორი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი, ახალ-ალექსანდრიის ინსტიტუტი და მოსკოვის პეტრეს აკადემია; დაკეტილ იქმნა მთავრობის განკარგულებით სტუდენტების აღელვების გამო. დარჩა იმ დროს (1890 წ.) მხოლოდ ერთი რიგის პოლიტეხნიკური, რომლის სააგრონომიო განყოფილება თავის კვალობაზედ ძლივს ვაი-ვაგლახით თუ დაედრება უმაღლეს სასწავლებელს. ამასთანავე ეს პოლიტეხნიკუმი უფრო დასავლეთ რუსეთისა და ოსტზეის ქვეყნის გერმანელთათვის არის დაარსებული, ხოლო დანარჩენ რუსეთის მეურნეობისათვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მოკლედ რომ ვსთქვათ, რუსეთში 1891 წლის დიდს სიმშილობის დროს უმაღლესი სამეურნეოსწავლა გაუქმებული იყო. პეტერბურგიდგან მოდიოდა ყოველად უნუგეშო ამბები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე გადაჭრით ამბობს, უმაღლესი სამეურნეო სწავლა-განათლება სულ ცუდ-უბრალო მოგონებაა და უნაყოფოდ ფულის ხარჯვააო.

მაგრამ, გაიმარჯვა კეთილ-გონიერების აზრმა და გაზეთებმა შეგვატყობინეს სხვა ახალი ამბავი—რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში დაარსებულ იქმნება ხუთი უმაღლესი სამეურნეო ინსტიტუტიო. იმ ხანადვე ხელახლად გაჰმართეს ახალ-ალექსანდრიის ინსტიტუტი და უფრო ვრცელი პროგრამა შეიმუშავეს მისთვის. ამ მოკლე ხანში გამოცხადებულ იქმნა, რომ მოსკოვის გაუქმებული პეტრეს აკადემია გადაკეთებულ იქმნება მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტად და ენკენისთვის პირველიდგან დაიწყება სტუდენტების მიღებაო. ამასთანავე მოკლე ხანში შეუდგებიან ხარკოვის სამეურნეო ინსტიტუტის აშენებას.

ზემოხსენებული ამბები გვიმტკიცებს, რომ მთავრობა უკვე შესდგომია უწინდელ პროექტის განხორციელებას და შეიძლება ამ მოკლე ხანში შეუდგეს კიდევ ორის უმაღლესის სამეურნეო სასწავლებლების დაარსებას: ერთისა—აღმოსავლეთს და მეორესას—სამხრეთ რუსეთში, ასე იყო წინაპირველადვე ლაპარაკი.

აზრი ამ ხუთის უმაღლესის სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა პირველშივე საბუთიანად წარმოთქმულ იქმნა კერძო კომისიის მიერ, რომელიც იმ დროს დაარსა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ. გონივრული მეურნეობა, როგორც პრაქტიკული ბუნების მეტყველება, ერთის მხრით, წმინდა მეცნიერებაზედ არის დაფუძნებული და მეორე მხრით პრაქტიკულ ცდა-მოღვაწეობაზე. მისი უმთავრესი აზრი ის არის, რომ განსხვავებულ ადგილობრივ ჰავისა, მიწა-წყალის და ეკონომიურ გარემოებათა მიხედვით შეიმუშავოს სამეურნეო ტეხნიკა, საუკეთესო მიწის მუშაობის წესი, დამყარებული სამეცნიერო საძირკველზე. ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს, რომ სამეურნეო ტეხნიკის განკარგების საქმეში უმთავრესი მნიშვნელობა მრავალ ადგილობრივ გარემოებათა კრებულსა აქვს. ამ გარემოებათა მიხედვით, ზემოხსენებულმა კომისიამ რუსეთი გაჰყო ხუთ ნაწილად: მოსკოვის სამრეწველო ნაწილი (московская промышленная область), შუა ნაწილი, აღმოსავლეთი რუსეთი, დასავლეთი რუსეთი და სამხრეთი ნაწილი რუსეთისა. უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი სამხრეთ რუსეთის მეურნეობის ასაღორძინებლად, როგორც მაშინ ამბობდნენ, უნდა დაარსებულიყო ან კიევში, ან ოდესაში. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი სასწავლებელი, თუ დაარსებულ იქმნა, უფრო შეეფერება ჩვენის ქვეყნის მოთხოვნილებასა და გაჭირებას, ვიდრე დანარჩენი ოთხი. მაგრამ, კარგად რომ დავუკვირდეთ ამ საგანს, ადვილი შესაგნებია, რომ ამიერ კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის მეურნეობათა შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენი მეტად მთიანი ქვეყანა წარმოადგენს მრავალ ჰავათა და ნიადაგთა კრებულს. კავკასიის მთებში ისეთი ადგილებია, სადაც მუდმივ თოვლი და ყინული არის. ეს ადგილი თავის სასტიკისა და მკაცრის ჰავით მოგაგონებთ ჩრდილოყინულოვან ზღვის ნაპირებს. ამისთანა ცივ ადგილებიდგან სამხრეთისაკენ რომ გავემგზავროთ, იმისთანავე ჰავის ცვლილებას შევამჩნევთ, როგორც ჩვენში მაღალ მთებიდგან ბარში ჩამოსვლის დროს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ჩვენში თბილ ქვეყნის ჰავამდისაც მიხვალთ, რომელიც სამხრეთ რუსეთში თითქმის სრულიად არ არის. მეტის-მეტი მთა-გორიანობა ჩვენის ქვეყნისა ასვამს აქაურ მეურნეობას თავისებურ განსაკუთრებულს ბეჭედს, რომელიც სრულიად არ შეესაბამება რუსეთის არც ერთის ნაწილის მეურნეობას. სწორედ ამიტომ გადაწყვეტით შეიძლება ვსთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ასაღორძინებლად არავითარი მნიშვნელობა არ ექნება იმ უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელს, რომელიც სამხრეთ რუსეთისათვის იქნება დაარსებული. ჩვენის ქვეყნის მეურნეობას მეცნიერების შუქი ვერ მიუდგება, ვიდრე განსაკუთრებული სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელი არ დაარსდება საკუთრად ამიერ-კავკასიისათვის. ამისთანა სასწავლებელს უდიდესი მნიშვნელობა ექნება თვით რუსეთის მრეწველობის ასაღორძინებლად, იმიტომ რომ მრავალ გვარი ნაწარმოები სამხრეთის თბილი ქვეყნების მეურნეობისა, რომელიც ახლა საზღვარ-გარეთიდგან მოდის რუსეთში, ამიერ-კავკასიიდამ მიუვა რუსეთს. განა იმაზედ მეტი სანატრელი საგანი რაღა უნდა ჰქონდეს ბრძნულს საშინაო საეკონომიო პოლიტიკას, რომ სახელმწიფომ შეიძლოს და მოიყვანოს, აწარმოვოს ყოველივე ის, რაც-კი საჭიროა მისთვის ცხოვრებაში?!

ნიკ. კავკასიძე

## ახალი ამბავი

*** გაზ. „Новое Время“ სწერს, რომ უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორი ვ. კ. საბლერი ტფილისს გაემგზავრა სინოდის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა განსახილველად და სარევიზიოდაო.

*** ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი ძველი ხელთნაწერი იშვიათი წიგნი, სახელდობრ „ყვავილთა ენა“. სამწუხაროდ წიგნი დახეულია. შიგ აღწერილია, თუ რომელ ყვავილს რა თვისების ძალა აქვს და კაცისათვის რა სამსახურის გაწევა შეუძლიან.

*** პეტერბურგიდამ მოვიდა ამბავი, რომ დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ რუსულ-ქართულის ლექსიკონისა სულ 20 წიგნი-ღა დარჩენილა. ამ წიგნისა დიდი მოთხოვნილებაა ჩვენში და უნდა ვიფიქროთ, რომ ახალ გამოცემას დროით დაიწყებენ; 20 წიგნი მალე გაიყიდება და, დაბეჭდვა თუ ადრე არ დაიწყეს, ძალიან დაგვიანდება საქმე.

*** ამ ჟამად ქალაქში წითელა ძლიერ არის გავრცელებული. გავრცელებულია უფრო ქალაქის ჩავარდნილს ადგილებსა და იმ ვიწრო ქუჩებში, სადაც ჰაერი შეხუთულია.

*** ამ ჟამად ჩვენში ხშირად თხოულობენ „ქართლის ცხოვრებას“, მაგრამ მისი შოვნა ტფილისში მეტად ძნელია. ახლა შევიტყეთ, რომ ამ წიგნის პირველი ტომი მთლად გათავებულა და პეტერბურგშიაც აღარ არისო; მეორე ტომი-კი მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლიარიო.

*** ბ-ნი ალ. ერიცოვი აგროვებს და აპირებს დაჰბეჭდოს ყველა თავის საისტორიო წერილები დაბეჭდილი რუსულად და სომხურად. ამ წერილებში საქართველოს შესახებ ბევრი ცნობები აქვს მოყვანილი.

*** სომეხთ მოძღვარი ალიშანი, დიდი ხანია, რაც ჰბეჭდავს სომეხთ საეკკლესიო ისტორიას. ამ ისტორიაში ერთობ ფართო ადგილი უკავია საქართველოს სამეფოს წესთა აღწერასაცა. უფრო-კი გავრცელებით არის აღწერილი ის, თუ რა კავშირი ჰქონდა საქართველოს სამეფო გამგეობას ეჩმიაძინის სინოდთან და ან ქართველთ მეფენი როგორ ამტკიცებდნენ ახლად ამორჩეულ სომეხთ კათალიკოზთა. სხვათა შორის, ამ ისტორიაში მოხსენებულია მაცხოვრის ლახვრის ისტორიაც, რომელიც საქართველოს უკანასკნელ მეფის საქციელსა და ეჩმიაძინის სომეხთა ძმათა კრებულს შეეხება.

*** ჩვენ მოგვივიდა კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის მიერ ახალსენაკში გამოცემული პაწია წიგნაკი: «მოხუცი გერასიმეს ლომი», თარგმნილი ნ. შარაშიძის მიერ. წიგნაკი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 31 გვერდს და ჰღირს ერთი შაური.

*** სოფ. ჩუნჩხა (ჯავახეთი): ეს მესამე წელიწადია, რაც სოფელი ეცადა და ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამაც შეიწყნარა სოფლის თხოვნა და გაჰმართა აქ სკოლა. სწავლის საქმე ძლიერ მშვენივრად მიდის, სამოცი მოსწავლეა და კიდევაც მეტი იქნებოდა, რომ ალაგი იყოს. თუმცა პატარა სოფელია თითონ ჩუნჩხა, მაგრამ სხვა სოფლებიდგანაც ძლიერ ეტანებიან, რადგან ქართულ ენის სწავლა ძლიერ კარგად მიდის ამ სკოლაში და ხალხიც მოხარულია.

*** 1 მარტს, როზოვის მოედანზედ ივანე ყაითმაზოვის სახლში ცეცხლი გაჩნდა, ცეცხლი, ცეცხლის მქრობელმა რაზმმა გააქრო. სახლი დაზღვეულია 3000 მანეთად.

*** 2 მარტს, ორლოვის ქუჩაზედ ვიჩალკოვსკის ცოლმა თავის მოკვლა განიზრახა და კარბოლის სიმჟავე დალია. ქალი საამკურნალოში გაჰგზავნეს და იქვე გარდაიცვალა.

*** ამავე დღეს ხერხეულიძის ქუჩაზედ ელიაზარ ფურცელაძის მოსამსახურე, 12 წლისა, მარიამ შიოშვილი, ჭიდგან წყალს იღებდა და შიგ ჩავარდა, მაგრამ მალე მიეშველა ივანე სელეშოვი და უვნებლად ამოიყვანა.

*** 2 მარტს, ოლგას ქუჩაზედ მცხოვრებელმა მაშადი-ყული ვერის ხიდიდგან მტკვარში გადავარდა, მაგრამ მალე მიეშვე-

ლა მედუქნე ალექსი თორთმენიძე და უვნებლად გადაარჩინა. პოლიციაში მიზეზი გამოჰკითხეს და სთქვა, გაჭირვებული ცხოვრება მომბეზრდა და თავის დარჩობა იმიტომ მინდოდაო.

## ნაწყვეტები

სხვაზე გამცვალა სატრფომ,
ალმური გადამდიოდა,
გულში ცრემლის ზღვა მიდუღდა
მაღლა არ ამოდიოდა,
სული მეგზნოდა, მიშფოთდა,
ტვინი ცეცხლივით ღვიოდა,
ქვეყნის გამუსვრა მწყუროდა,
შხამ-გესლი ამომდიოდა.

## კორესპონდენცია

**საჩხერე.** ახალი ამბავი! პედაგოგიას ზოგიერთი პედაგოგების ხელში დღეს იქამდე მიუღწევია, რომ საუმჯობესოა თურმე სწავლების დროს მასწავლებელი ჯერ ძნელს ასწავლიდეს და მერე ადვილს, ჯერ აკითხებდეს და მერე ან-ბანს ასწავლიდეს!

ამ დღეებში მქონდა შემთხვევა მენახა, როგორ ასწავლიან საჩხერეს ერთს სკოლაში სამღვთო წერილსა. მასწავლებლის კითხვითა და მოსწავლეთა მიგებით მივხვდი, როგორც იყო, რომ საღმრთო მსახურებას სწავლობდნენ შეგირდები დიდის მორიდებით, რასაკვირველია, ვკითხე პატივცემულ მღვდელს — საღმრთო სჯულის მასწავლებელს, რა მიზეზი უნდა იყოს, რომ ასე უჭირსთ ბავშვებს პასუხი, განსაკუთრებით რუსულად, როდესაც რუსული უკვე უსწავლიათ-მეთქი. მან პასუხად მომცა შემდეგი:

„მე სულ სხვა სწავლების წესზე ვადგივარ. თუმცა ამ გვარ სასწავლებლებში, სადაც ერთი მასწავლებელი რამდენიმე განყოფილებასთან მეცადინობს, ყოველ განყოფილებას შესაფერად ასწავლიან, მაგრამ მე ვსცანი საუმჯობესოდ რამდენი განყოფილებაც უნდა იყოს ერთ კლასში, ვიმეცადინო ყველასთან ერთნაირად. აი, მაგალითად, ამ კლასში მე მყავს მეხუთე და მესამე წლის კურსები; რადგან პროგრამმის მიხედვით მეხუთე წელმა უნდა გაიაროს რუსულ ენაზე ღვთის მსახურება, იმასვე ვასწავლი მესამე განყოფილებასაც, თუმცა ამ მესამე განყოფილებას ჯერ არ გაუვლიათ არც რუსულად და არც ქართულად წარსულ საღმრთო ისტორია. წელში მეხუთე მეოთხე განყოფილებას შეადგენდა და მეორეს—მესამე. რადგან მეოთხე განყოფილება მაშინ გადიოდა რუსულად კატეხიზმოს, იმასვე ვასწავლიდი მეორესაც. ეს წესი სწავლებისა ძალიან მოსახდენი გამოდგა. ახალი შემოსულიც რომ იყონ შაგირდები, მაინც იმასვე სწავლობენ, რასაც დიდ განყოფილებაებში. მასწავლებელს აღარ სჭირდება თავი გაიტეხოს სხვა-და-სხვა განყოფილებასთან მეცადინობაზე. მიხარიან, რომ ერთი კითხვა მეც შევიმუშავე მეცნიერებისათვის. მით უმეტეს დაჯერებული ვარ ამ ჩემს აზრზე, რომ მრავალ გზის რევიზიამ შკოლაში არა თუ დამიწუნა ეს წესი, პირ-იქით კიდეც ძლიერ მომიწონა“.

ამ ნაირმა პასუხმა ძალიან შემაწუხა; თვალით ვხედავდი, თუ რა მოსახდენი გამომდგარა ამისთანა წესი სწავლებისა. დაღონებული და ბავშვების საცოდაობით გულ-დამწვარი გამოვედი, კლასიდგან. ცხადად წარმომიდგა თვალ-წინ ამ გვარის სწავლით დამახინჯებული და ბუნებრივს ნიჭსაც-კი, მოკლებული ახალ-გაზრდობა.

ქ. ნ—ძე

**ქ. განჯა.** შაბათს, 26 თებერვალს, განჯის კლუბში იყო გამართული ქართული საღამო. დიდის გულის ძგერით მოველოდით ამ საღამოს აქაური ქართველობა, რადგანაც პირველათ იყო და გვეგონა, რომ საზოგადოება არ დაესწრობოდა და მით საღამოც სიცოცხლეს მოკლებული იქნებოდა, მაგრამ ჩვენის ფიქრის წინააღმდეგ იმოდენა საზოგადოებამ მოიყარა აქ თავი, რომ დასადგომი ადგილიც აღარ იყო. ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდნენ ეგრე 20-დის მომღერალ-მგალობელნი ქართულ ქულაჯებ ჩაცმულნი და მშვენივრად იმღერეს „ღმერთო, ჰფარავდე მეფესა“ ბ-ნ ბეჟანოვის ლოტბარობით. საზოგადოებამ მრავალის ტაშის ცემით და ბრავოს ძახილით დააჯილდოვა მომღერალნი. შემდეგ ითამაშეს 2 მოქმედებიანი კომედია ა. ცაგარლისა. ყველა მოთამაშენი პირველად იყვნენ სცენაზე გამოსულნი, გარდა ქ-ბ-ნის გაბუნია ცაგარლისა, მაგრამ ყველა ისე მშვენიერად თამაშობდა, რომ გეგონებოდათ, დიდად დახელოვნებული არტისტები არიანო. სხვათა შორის, თავი იჩინა ნ. ბაქრაძისამა, რომელმაც ისე მშვენივრათ აასრულა თალიკოს როლი, რომ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. უფრო კარგად მოუვიდა ის მონალოგი, როდესაც მარტო ოცნებობს. მრავალ ტაშის კვრით იქმნა დაჯილდოებული. კაცებში თავი იჩინეს ბ-ნმა ფურცელაძემ ბაიყუშის როლში და ლორის-მელიქოვმა — გასპარას როლში. ორივენი რამდენჯერმე იქმნენ გამოწვეულნი. შემდეგ იმღერა ხორომ რუსული და ქართული სიმღერები და ძალიანაც ასიამოვნეს საზოგადოება. ყველა იმას გაიძახოდა, რა მშვენივრობააო!, დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ბეჟანოვი, რომელმაც იკისრა ლოტბარობა და სულ ცოტა ხანში ასე მშვენივრად მოაწყო ხორო. იმედია რომ შემდეგისათვისაც არ მოაკლებს თავის შრომას და კიდევ დაგვატკბობს აქაურ საზოგადოებას თავის ხოროთი,

სიმღერას მოჰყვა ლეკური და ევროპიული ცეკვა, რომელიც გაგრძელდა დილის ოთხ საათამდე. საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დარჩა. წარმოდგენიდამ შემოსული ფული იყო დანიშნული „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ. და როგორც გავიგეთ, განჯის ქართველობას განძრახვა აქვს მუდამ წელს გაჰმართოს ხოლმე ქართული საღამოები, იმავე საზოგადოების სასარგებლოდ.

ღმერთმა ჰქმნას, რომ განძრახვა ასრულებაში მოეყვანოთ. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსნი არიან ძმანი მაჩაბლები, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში.

დროებითი განჯის მცხოვრებელი.

## გაუქმება და გაბათილება ზოგიერთის ძველებურის ქაღალდის ფულისა

(მაზრის უფროსთა და მომრიგებელ შუა კაცთა საყურადღებოდ).

მომავალ პირველ მაისს გასდის ვადა ძველის სახის ქაღალდის ფულს. 1 მაისის შემდეგ აღარსად არ ექმნება გასავალი—არც ხაზინაში და არც სახელმწიფო ბანკში და, რასაკვირველია, არც ცხოვრებაში. ბაზარში, ხომ ეხლაც აძნელებენ მის მიღებას და ამ გარემოებით სარგებლობენ გაიძვერა წვრილმანი ვაჭრები, რომ გამოსცინცლონ რამე საბრალო გლეხს. ყოველთვის, როცა-კი მთავრობას გამოუცია ბრძანება, ძველად მოჭრილი ქაღალდის ფული ამა-და-ამ ვადაზე უნდა იქმნეს დაცვლილი და მას მერმეთ გასავალი აღარ ექმნებაო, უმეცარი ხალხი დიდად დაზარალებულა. მომჭირნე გლეხს რის ვაივაგლახით და წვა-დაგვით შეუგროვებია ორიოდე გროში და გადუნახავს სადმე ხალამში, რომ იგდოს ხელთ მარჯვე დრო და შეიძინოს ან ერთი ნაკვეთი მიწა, ან ცალ უღელი ხარი. და ერთ დღეს გაიხედავს, რომ მისი ფული დამწვარა და საბრალო მისი პატრონი მშრალზე დარჩენილა. ჩვენდა საუბედუროდ, სოფლად, ჯერჯერობით, იშვიათად თუ ვინმე კითხულობს გაზეთებს და ამის გამო ზოგიერთ მივარდნილ ადგილებში არც-კი გაეგონებათ ეს განკარგულება მთავრობისა, რომელიც აგერ ორი წელიწადია, რაც გამოქვეყნდა, ან თუ გაეგონებათ, ამდენს ხანს დაავიწყდებოდათ კიდეც.

საჭიროა, რომ ყოველ მივარდნილ ალაგამდის მიაღწიოს ამ განკარგულებამ. ამისათვის უებარი საშუალება მხოლოდ ერთია, ჩვენის აზრით: მაზრის უფროსმა და მომრიგებელ შუაკაცებმა უნდა იკისრონ ეს საქმე და მოახდინონ ყოველ სოფლის კანცელარიასთან საგანგებოდ ამ საქმისათვის კრება და საჯაროდ განუმარტონ ან თავათ, ან მწერლების საშუალებით ეს განკარგულება. ქვემორე მოგვყავს ნიშნები ძველის ყალბის ფულისა. უმეცარი ხალხი, მართალია, ვერ გაიგებს ამ ნიშნებს, მაგრამ სოფლის მწერლები ადვილად გაიგებენ. შეიძლება ძველი ყალბის ფული ახალ-ახალიც და გაუტეხელიც იყოს, მაგრამ 1 მაისის შემდეგ მაინც აღარ გამოდგება. აგრეთვე შეიძლება ახალი ყალბი ფული სულ დაფლეთილი და დამჩვარული იყოს, მაგრამ ფასი მაინც არ დაეკარგება.

აი ნიშნები ძველის ყალბის ფულისა:

50 მანეთის ღირსებისა იმპ. პეტრე პირველის სახიანი, 25 მეფე ალექსი მიხეილის ძის სახიანი, 10 მიხეილ თევდორის ძის სახიანი, 5 დიმიტრი დონელის სახიანი, 3 და 1 მანეთიანი ბილეთები, რომელთაც მეორე გვერდზე წელიწადი უსვიათ.

ამას გარდა არ მიიღება 1880 წელს მოჭრილი თეთრ ქაღალდზე 25 მანეთიანი, რომლის მეორე გვერდი სრულიად სადა არის.

ეს ჩემი შიში რომ არ არის უსაფუძვლო, სხვათა შორის, შემდეგიდან სჩანს: ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, სადაც მე ხაზანადრათა ვარ, ყოველ ცისმარე დღეს შემოდის 20—25 მანეთი ძველის ყალბის ფულისა.

კ. ბაქრაძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

გაზ. „Новое Время“-ში დაბეჭდილია «წერილი სოფლიდგან», რომელსაც სათაურად აწერია «რა უნდა ვქნათ?» ავტორი წერილისა შეეხება ზოგიერთს წესსა და რიგს სოფლის ცხოვრებისას და შემდეგ ამბობს:

ხალხს სასწავლებლები სჭირია: სამწუხაროდ, ამ ბოლოს დროს საერო სასწავლებლის საქმეშიაც ორგვარობა ჩამოვარდა: ერობის საერო სასწავლებელთან ერთად დაარსდა საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლებიც.

# ფელეტონი

## მეგობრის მსხვერპლი

— უნდა გითხრა, წუხელის ძრიელ სიამოვნებით გავატარეთ დრო; ვერ წარმოიდგენ, მელო, რა აღტაცებაში მოვდივარ, როდესაც მაგგვარი ბაასი და დავა-კამათი არის ხოლმე. მე მხოლოდ ამ ნარი შეკრებილება და დროს გატარება მწამს. ესეც უნდა გითხრა: ვანოს აზრები ძრიელ მომწონს; მოსაწონი უფრო ის არის მისი, რომ თუ იტყვის რასმე, იტყვის დინჯად და დაფიქრებით; თუ არა დავასა და კამათში მონაწილეობას არ მიიღებს. რა მიმზიდველი რამ არის! წუხელის მეტის-მეტად მხიარული იყო. არა, მელო?

ასე ელაპარაკებოდა ნინო თავის მეგობარ მელოს, რომელსაც ამ დროს მკლავზე ჰქონდა დაყრდნობილი თავი და ღრმა ფიქრებში იყო გართული. მელოს არა ერთხელ ჰნახავდით დაფიქრებულს, მაგრამ ამ ჟამად-კი სევდა და ნაღველი გამოიხატებოდა მის სახეზე, თითქო რაღაცას ეკითხებოდა თავის გულსვე, მაგრამ პასუხი არსაიდამ ესმოდა. ნინოს ლაპარაკი თითქმის არც კი გაუგონია კარგად, ისე იყო ფიქრებით გარემოცული. რაკი მელომ არა უპასუხა-რა, ნინომ იფიქრა, ხომ არ ჩაეძინაო, მივიდა ახლოს და დაუწყო კითხვა:

— მელო, რას გაჩუმებულხარ, ქალო? შენ გელაპარაკები, კედლებს ხომ არა? მელო გასწორდა, გამოერკვა ფიქრებს და ალერსით ჰკითხა ნინას:

— გამიმეორე, გეთაყვა, ფიქრში წავედი და ვერ გავიგონე. აბა, რა სთქვი?

— მე ისა ვსთქვი, რომ წუხანდელი შეკრებილება და დროს გატარება სწორედ ჩემის გუნებისა იყო-მეთქი. ესეც უნდა გკითხო: წუხელ რად იყავი უგუნებოდ და არაფერში მონაწილეობას არ იღებდი?

ის-კი არ იცოდა ნინომ, რომ მელოს სწორედ წუხანდელი მოგონება უღრღნიდა გულს.

— რა მხიარულების თავი მქონდა, გეთაყვა, მე იმ ქეიფზე ვიყავ, რომ მისვლისათანავე მინდოდა წამოსულიყავი, მაგრამ ტასოს წყენას მოვერიდე, ვიცი, გამიჯავრდებოდა.

— რათა, მელოჯან, შენი ჭირიმე? მიზეზი, რა იყო. გეწყინა რამე?

მელო, თითქო, ეპირებოდა თავისი ფიქრების მიზეზი გამოეცხადებინა ნინოსათვის, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— არაფერი არა იყო-რა, ცოტა უქეიფოდ შევიქენ, ისე...

ნინომ შეატყო, ტყუილი მიზეზები მოიგონაო და არც-კი დააცადა სიტყვის გათავება.

— სტყუი, სტყუი, მელო, მიზეზი ეგ არ ყოფილა. განა არ გეტყობა, რომ ტყუილს ვერ ახერხებ. მითხარი, მელოჯან, რა იყო? რა გეწყინა? ან ეხლა რად ხარ დაღონებული? განა არ გეტყობა!

— ნუ მკითხავ, ნუ ჩამაცივდები, შენი ჭირიმე ნინა, მართალია ჩემი დაღონება უმიზეზო არ არის, მხოლოდ შეუძლებელია ყოველთვის გამოსთქვას კაცმა თავის გულის პასუხი.

— რაებს ამბობ, მელოჯან, ესე უეცრივ რა მიზეზი მოგეცა ეგრეთი სადარდელი და საფიქრებული! განა მე უნდა დამიმალო? უეჭველია, ტასოს ყოველსავე უამბობდი.

მელომ მწარედ ჩაიცინა და, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, უპასუხა:

— ოღონდაც, რომ გასაკვირველია, ტასოსთან დაფარული მქონდეს რამე, მაგრამ აკი გითხარი, ზოგი ისეთი რამ მოხდება კაცის თავს, რომ მეგობარსაც ვერ გაუმჟღავნებს.

— შენმა მზემ, მე ცნობის მოყვარეობით არ მომდის, რომ ასე ჩაგაცივდი, მაგრამ გევედრები, მითხარი რა შეგხვდა ეგრე სამძიმოდ საფიქრებელი? იმიტომ გთხოვ გამომიტყდე, რომ იქნება შევიძლო და შეგიმსუბუქო დარდი. მართალი უნდა ვსთქვა, ეს რამდენიმე ხანია გატყობ, რაღაც სევდა აწევს შენს გულს. სწორედ გითხრა ყურადღება არ მივაქციე, ვფიქრობდი, ალბად ქეიფზე არ არის მეთქი; კაცი ხომ ყოველთვის მხიარულ გუნებაზედ არ იქნება, რა ვიცოდი, შენ თუ ეგრე სამძიმო რამ გაწუხებდა, ეხლა-კი რაღა მომასვენებს, მანამ ნამდვილს არ გავიგებ. მითხარი, ჩემო მელო, იქნება ეს შენი დარდი არცკი ღირდეს რასმეს და შენ კი ტყუილად იწუხებ თავს.

— ვინ იცის, იქნება ეგრეც გამოვიდეს, ღმერთმა ინებოს, მაგრამ, არა მგონია, ვსცდებოდე და კიდეც ის მიღრღნის გულს.

— იქნება დათიკოზედ აიღე ეჭვი? —უთხრა ნინომ და დაცინვით გადიხარხარა.

მელოს უნდოდა როგორმე მოეშორებინა თავიდამ ნინოს გამოკითხვა და ტყუილად უთხრა:

— ჰო, ეგრეა, მაგასა ვფიქრობ, მხოლოდ ამას გთხოვ, ნურარას მკითხავ და ნუ ჩამაცივდები, შენ გეთაყვა, ნინო.

— თუ არ მატყუებ და მართლა მაგასა ფიქრობ, ეხლავ გეუბნები, რომ სცდები და ტყუილის ეჭვებით თავს იწუხებ... სთქვა ეს ნინომ და წავიდა.

მელო ისევ თავის სამწუხარო ფიქრებს მიეცა: სცდილობდა როგორმე გაეფანტა, მოეშორებინა თავიდამ, მაგრამ იმის ნებასა და სურვილს არავინ დასდევდა.. არა ერთხელ გაუფრთხო მელოს ძილი და მოსვენება იმ ეჭვებმა, მაგრამ მაინც კიდევ სცდილობდა დაემშვიდებინა როგორმე გული: იმედი ჰქონდა, იმისი, რომ იქნება ტყუილად მომეჩვენაო. აი ახლაც ამ იმედებს ეძლეოდა და ამბობდა თავისთვის:

— არა, არა, ვსცდები, ღმერთმა ნუ მომასწროს! უეჭველია, მომეჩვენა. თუ მოჩვენება არ იყოს, ამოდენა ხანია ასეა და როგორ არას მეტყოდა?

მაგრამ ამ იმედებს გზას ულობავდა ის მოსაზრება, რომ თვალებითა და მოქცევითაც შეიძლება ადამიანმა

ერთს სასწავლებელში ერთ გვარი სწავლაა, მეორეში—სულ სხვა ნაირი; ერთში ერთგვარი მასწავლებლები არიან, მეორეში—სულ სხვა. ამ სასწავლებელთა ზედამხედველობაც სულ სხვა-და-სხვათა აქვთ, თუმცა-ღა ეს საქმე ისეთი საქმეა, რომ სასურველია ერთ-გვარობა და ერთ-ფეროვნება დაცული იყოს. მე კერძოდ არც ერობის სასწავლებლებს ვემხრობი და არც საეკლესიო-სამრევლოს, მაგრამ იმას-კი ვფიქრობ, რომ საერო სასწავლებელი ერთი უნდა იყოს, ერთი საზოგადო პროგრამა ჰქონდეს, ერთ გვარს უფლებას ანიჭებდეს მოსწავლეს და მასწავლებლებიც ერთ ნაირი ჰყავდეს. ერობის სასწავლებელს, კარგად მოწყობილს, მაგალითებრ, როგორიც ჩვენს პოლტავის გუბერნიაშია, მე ყოველთვის ვამჯობინებ საეკლესიო-სამრევლოს, რომელშიაც უფლება-მოკლებულნი მასწავლებელნი არიან და რომელსაც რიგიანი თვალ-ყურის მდებელი არა ჰყავს.

ეს, რასაკვირველია, ასეა და კერძოდ ჩვენ და საზოგადოდ სხვა გაზეთებმაც ასეთი აზრი გამოსთქვეს, მაგრამ იმათი ნათქვამი დაშთენილია ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

**

აი რა სიტყვებით აუწყა ინგლისის სასახლის გაზეთმა ქვეყანას გლადსტონის სამსახურიდგან გადადგომის ამბავი:

როდესაც საბჭოს სხდომა გათავდა, ღირს-პატივცემული ვ. ე. გლადსტონი დედოფალთან იყო და გადასცა თხოვნა სამსახურიდგან გადადგომისა, რაც მისმა უდიდებულესობამ მოწყალედ მიიღო. შემდეგ დედოფალმა ლორდი როზბერი დაიბარა და იმან შეამლია თანამდებობა პირველის მინისტრისა, რომელიც როზბერიმ იკისრა.

ეს ოფიციალურად ნაუწყები ამბავი არ ესიამოვნად არც ლიბერალ და არც რადიკალთა წრეებს. აი დაახლოვებით ამის შესახებ რასა სწერს გაზ. “Daily Nevs”-ი:

შეუძლებელია არ შევუდაროთ სიტყვები „რაც მისმა უდიდებულესობამ მოწყალედ მიიღო“ სიტყვებს „დიდის მწუხარებითაო“, რომელიც ხმარებული იყო, როდესაც სამსახურს თავს ანებებდნენ სალისბერი და განსაკუთრებით დიზრაელი. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ გლადსტონი დედოფალ ვიქტორიას მეფობის უდიდებულესი მინისტრია და მხოლოდ მას ჰქონდა საკმაო ძალა და ღონე, რომ დაეცვა სახელმწიფო რადიკალთაგან. აი კიდეც ამიტომ დედოფალი გაუფრთხილებლად და ამასთანავე უმადურად მოიქცა, რომ არც ერთი სიტყვა არ დაუმატა ზედ მადლობის ნიშნად, როდესაც თავის უსახელოვანეს მსახურთაგანს დათხოვნის ქაღალდსართმევდაო.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის გაზეთების სალაპარაკო, რასაკვირველია, ახალი კაბინეტია და გლადსტონის გადადგომის ამბავი. ირლანდიელ პარნელისტთა გაზეთები აცხადებს, საჭიროა ლორდ როზბერი დაგვპირდეს, რომ ახალის მთავრობის პოლიტიკის საძირკვლად ისევ ჰომრული იქნებაო. მხოლოდ ამ პირობით მიემხრობა ირლანდიელთა დასი და მხარს დაუჭერს როზბერის კაბინეტს. როგორც სჩანს ლაბუშერის წერილებიდგან, ის მოწინააღმდეგე იქნება ახალის კაბინეტისა და იმედი აქვს ძალიან გაუჭირვოს საქმე პარნელისტთა დახმარებით; ლაბუშერის დასი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიემხრობა კაბინეტს, თუ იმის მეთაურად გარკური იქნება. მეორეს მხრივ, ახალის კაბინეტის მომხრენი აცხადებენ, რომ ლაბუშერი ვერაფერს დააკლებს როზბერის კაბინეტსაო. რადიკალთა მეთაურის მომხრენი მხოლოდ სიტყვიერად განაცხადებენ წინააღმდეგობას და უარს იტყვიან კენჭზედ, თუ წინ წამოყენებულ იქმნა ისეთი საგანი, რომელსაც შეეძლება საფრთხეში ჩააგდოს ახალის მთავრობის არსებობის საქმე.

ეს მოსაზრება მით უფრო მართლდება, რომ ის ხმა, ვითომ როზბერის მოწინააღმდეგეთ გარკურიც ემხრობაო, ტყუილი გამოდგა. გარკური ყოველსავე დახმარებას აღმოუჩენს ახალს კაბინეტს.

—

გაზ. „Daily Chronicle“-ში დაბეჭდილია წერილი გრაფ ლ. ნ. ტოლსტოისა იმ შუამდგომლობის შესახებ, რომლითაც მიჰმართეს მას, რომ ნება მიეცა მისი ნაწერები ეთარგმნათ. შესანიშნავი რუსეთის მწერალი სწერს, რომ განკერძოებულს უფლებას ჩემის თხზულებათა თარგმნისას არავის ვაძლევ, ყველას შეუძლიან ის ნაწერები გადათარგმნოს ჩემი, რომელიცა ჰსურს, სასყიდელს არავისა ვსთხოვო. «Daily Chronicle» აღტაცებაში მოდის გრაფ ტოლსტოის სულის გრძნობისა და რწმენის კეთილშობილებით და ამბობს, რომ იმისი წერილი სხვა ცდომილ ვარსკვლავიდგან მოწერილი ეპისტოლეაო. ლონდონის სალიტერატურო წრეებში დიდი ლაპარაკია ატეხილი გრაფის წერილის გამო; ზოგიერთი მწერლები ამბობენ, რომ ჩვენც იმის მაგალითს მივბაძოთო.

—

**საფრანგეთი.** დიდი ლაპარაკი აქვთ ამ ჟამად პარიზის გაზეთებს იმ ამბის გამო, რომელიც დაბეჭდილი იყო Faulois-ში. ამ გაზეთმა გამოაცხადა, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შორის სამხედრო ხელ-შეკრულობა უკვე ხელ-მოწერილიაო. მოწინააღმდეგე დასის გაზეთები კითხულობენ: როგორ მოხდა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა, დეპუტატებმა, სენატორებმა არა იციან-რა იმისი, რაც ისე კარგად სცოდნია არტურ მეიერს, რისაგან არის, რომ ხელ-შეკრულობა ხელ-მოწერილი ყოფილა და პრეზიდენტი კარნო-კი სცდილობს სხვაგან შეიტყოს სადმე, რას არის რუსეთი განზრახულიო? ან ეს ხელ-შეკრულობა ჯერ არც-კი არსებობს, რაც დიდად სამწუხაროა, და არ არსებობს, და თუ ასეა, ეს გარემოება მარტო „Gaulois“-მა საიდგან უწყის? ზოგიერთნი კითხულობენ, ვის შეეძლო ხელ-შეკრულობის დადება და საფრანგეთის ხელ-ფეხის შეკვრა ვალდებულებანითაო. განსაკუთრებით ძალიანა ცხარობენ «Autoritè» „Libre Parole“ ეს უკანასკნელი კითხულობს: ვინ მოაწერა ხელი ხელ-შეკრულობაზედ? რას მოაწერეს ხელი? ხელი მოაწერეს-კი ვითომ საზოგადოდ რასმეზედ?

—

საფრანგეთის საზოგადოება კვლავ დიდად არის დაფიქრებული იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში დაბადებულთა რიცხვი თან და თან კლებულობს, წარსულ წელს მაგალითებრ მიცვალებულთა რიცხვი 20,000 სჭარბობდა დაბადებულთა რიცხვს. ამ სამწუხარო გარემოებამ რასაკვირველია, საერთო ყურადღება მიიქცია. ამის შესახებ ეხლა ჰლაპარაკობენ არამც თუ ჟურნალ-გაზეთები, არამედ მოძღვარნიც-კი ეკკლესიის კათედრიდგან. ამის წინად დეპუტატმა-ეპისკოპოსმა დ’ იულსტმა თავისს სადიდმარხვო ქადაგებაში განაცხადა, რომ დაბადებულთა რიცხვის შემცირების მიზეზი ჯერ ერთი ის აურზაურია, რომელიც ჰსუფევს ცხოვრების საზოგადოებრივ წყობილებასა და კანონ-მდებლობაშიო, და მეორე—სიმდიდრისა და ცხოვრების დატკბობის გატაცებული სურვილი, საშინელი თავმოყვარეობა ბურჟუაზიისა, რომელსაც არა ჰსურს რომ ერთსა და ორს შვილზედ მეტი ჰყავდეს, რათა ქონება არ დაუნაწილდეს და მშვიდობიანი ცხოვრება ჰქონდეს, და აგრეთვე ისიც, რომ განათლება ძალიან გავრცელდა დედათა შორისაო! ეს ახალი განათლება და საერო სასწავლებელი ერგთულ მეუღლესა და მოსიყვარულე დედას-კი არ ამზადებდეს, როგორც ამზადებდა მონასტერი, არამედ ისეთ დედაკაცს, რომელიც საპოლიტიკო და სამოქალაქო ერთ-უფლების შესახებ ოცნებობს, ექიმის, მასწავლებლის წოდებას ეძებს და ერიდება შვილების გამრავლებას. ამასვე ამბობენ კლერიკალი გაზეთები ხოლო ზომიერ რესპუბლიკელთა გაზეთები უპასუხებენ, რომ, ეგ აგრეც რომ იყოს, საზოგადოებას არავითარი უფლება არა აქვს ძალათი უვიცობა და გაუნათლებლობა აკისრებინოს ვისმეო. დაბადებულთა რიცხვის შემცირების მიზეზი ის-კი არ არის, რომ ქალი სცდილობს ეკონომიური დამოუკიდებლობა და სამოქალაქო უფლება მოიპოვოს, არამედ მცირეოდნად საზოგადო ცივილიზაციის გავლენაა მიზეზი, უმთავრესად-კი აწინდელის ცხოვრების საზოგადოებრივ-ეკონომიური წეს-წყობილებაო.

## ინგლისის ახალი მთავარ მინისტრი ლორდი როზბერი

—

არჩიბალდ-ფილიპპე-პრიმროზი, გრაფ როზბერი, რომელიც გლადსტონის კაბინეტში გარეშე საქმეთა მინისტრი იყო და ეხლა იმის ადგილი დაიჭირა, ამ ჟამად 47 წლისაა, იგი კეთილშობილის გვარეულობის კაცია, შთამომავლობით შოტლანდიელი. მისი რგვალი, ხორციანი და უწვერო სახე, განათებული პატიოსანი ცისფერის თვალებით, სწორედ შეეფერება ლონიერს, ჯან-საღსა, და გულმხიარულს ინგლისელს, რომელსაც წარმოვიდგენთ ხოლმე ყოველ ჯონბულის ხსენებაზედ. იგი ლორდთა პალატაში შევიდა 1868 წლიდგან, სწორედ იმ წლიდგან, როდესაც მამა გარდაეცვალა და თითონაც სრულ წლოვანი შეიქმნა.

თავისის მოღვაწეობის დაწყებისათანავე იგი ლიბერალი იყო, რადგან პირველ წინადადებადვე ის შეიტანა, რომ შოტლანდიის საზოგადო სასწავლებლებში კათეხიზმოს სწავლება მოესპოთო. 1878 წელს აბერდინის უნივერსიტეტის სტუდენტებმა იგი ამოირჩიეს თავის ლორდ-რექტორად. ოფიციალურს ასპარეზზედ იგი პირველად 1881 წელს გამოვიდა, გლადსტონის კაბინეტში ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და შემდეგ პირველი კომისსარი საზოგადოებრივ საქმე-მუშაობისა. როდესაც ირლანდიის ჰომრულის გამო რადიკალთა დასში, უთანხმოება ჩამოვარდა, ლორდ როზბერის ზოგიერთ სხვა ლიბერალ კეთილშობილებთან ერთად

---

ადამიანს უთხრას რამე. განა შესაძლოაო, ფიქრობდა მელო გულში,—ისეთი რამ წარმოუდგეს, მოეჩვენოს კაცს რაც ნამდვილად არ არსებობს და ან რის შესახებაც არ უფიქრნია? მაშასადამე, სჩანს, ნამდვილია, თორემ განა წარმოვიდგენდი-კი და ან ვიფიქრებდი ამასაო?

მელოს თავის დღეში არ მოუვიდოდა ფიქრად ის, რაც ამ ჟამად ისე უშფოთებდა გულს. მართალია, მელომ კარგად იცოდა, რომ ამ ნაირი შემთხვევა გასაოცარი და იშვიათი არ არის, მაგრამ მელოს ის აწვა სევდად, რომ ამ გვარი საქმე ეწინააღმდეგებოდა მისს მტკიცე აზრებს. მელოს თვალ წინ სულ მისი უგულითადესი მეგობარი ტასო ჰყავდა წარმოდგენილი და კიდეც ის იყო მიზეზი, რომ ისე იტანჯებოდა. ბოლოს იმ ზომამდე შეშფოთდა და გარეტდა ამ უსიამოვნო ფიქრებით, რომ თითქმის შეშინდა, არა მომივიდეს-რაო—ადგა და გარედ გასვლა დააპირა ფიქრთ განსართველად. ამ დროს ცქრიალა ნინო შეეფეთა კარებში მხიარულის სახით და დაუწყო ხვეწნა:

— რა მშვენიერი საღამოა, წავიდეთ, მელო, გავისეირნოთ, შენი ჭირიმე, თორემ ძლიერ დაღონებული ხარ და გაერთობი მაინც. წამოდი. ერთის სიტყვით, არ მოგეშვები უნდა წაგიყვანო.

— უჰ, ნეტავი შენა, ნინო, რომ ეგრეთი მხიარული ხარ!.. რომ იცოდე, რანაირად შემოგნატრი, უთხრა მელომ და ალერსით მოჰხვია ხელი, მიიკრა გულზე, თითქო უნდოდა ამით მაინც ენუგეშა თავიო.

— შენ რომ ტყუილ-უბრალოდ ათასი ფიქრი და დარდი შემოიხვიო, ვისი ბრალია? მხნედ იყავ და ფიქრები არასოდეს არ გაჯობებს და არც შეგაწუხებს. მოდიხარ თუ არა? ტასოს კაცი გამოუგზავნია, ერთად წავიდეთო, რა პასუხი შევუთვალოთ?

— კარგი, წავიდეთ, მაგრამ... არაფერი, წავიდეთ, ჩემო ნინა.

მელომ სწრაფლ გადასწყვიტა წასვლა იმ აზრით, რომ ნამდვილად გამოერკვია თავისი საეჭვო და სადარდელი ფიქრები.

— ნინო-ჯან, ნამდვილად იცი, რომ ტასოც ბაღში იქნება?

— ჰო, ჰო, იქნება; რა არის, ღმერთმანი, უერთი-ერთმანეთოდ არა გიამებათ-რა,—გაეხუმრა ნინო:—შენ უიმისოდ ვერა სძლებ და ის უშენოდ. სიშურეში-კი არ ჩამომართვა, მელოჯან! ისე გეუბნები, ვხუმრობ.

## II

მართლაც და მელოსა და ტასოს მეგობრობა სამაგალითო იყო. მთელ ქალაქში იმათ მეგობრობაზედ ლაპარაკობდნენ; ზოგს შურდა და ზოგი თანაუგრძნობდა.

ესენი სცხოვრობდნენ ერთს სამაზრო ქალაქში. ვანო კალანდარაძეს სამსახური ჰქონდა იქ, ხოლო დათიკო ვარდანაძე იქაური მცხოვრები იყო, ჰქონდა თავისი საკუთარი სახლები და ქალაქს ახლოს კიდევ—მამული.

მელო ოცის წლისა იყო, როდესაც გაათხოვეს მშობლებმა თავიანთ ნებაზე. ასეთი ამბავი ხშირად მოხდება ხოლმე ჩვენს საქართველოში. მელო ისეთის უმანკო ხასიათისა იყო, რომ, რასაც მშობლები ურჩევდნენ და ისურვებდნენ, იმათ ვერ ეწინააღმდეგებოდა, თორემ იმ დროს ძრიელ წინააღმდეგი იყო გათხოვებისა, რადგან, მისის აზრით, უსიყვარულოდ ცოლქმრის შეუღლება ბედნიერებას არ მოიტანდა. თუმცა მელოს ბევრი მოსწონებია თავის ყმაწვილქალობაში, მაგრამ სიყვარული-კი არავისი უგრძვნია; ამის გამო დედ-მამის სურვილმა ადვილად დასძლია და მელო მიათხოვეს თ-დს დათიკო ვარდანაძეს. მელოს აზრები ნაკლებად ეთანხმებოდა ქმრის აზრებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მელო აფასებდა დათიკოს სათნო ხასიათსა; კეთილს გულსა, მისს სიყვარულს და ამის გამო არ იყო უკმაყოფილო თავის ბედისა. მელოს არსად არ დაესრულებინა სწავლა. მისცეს თუ არა ქალაქის სასწავლებელში, დაიწყო ავადმყოფობა; ამის გამო გამოიყვანეს. რაკი სუსტის აგებულებისა იყო მას შემდეგ სულ სახლში დარჩა. ძრიელ სწუხდა, რომ მისს სასურველ სწავლა-განათლებას ველარსად მიიღებდა და დაუყოვნებლივ მიჰყო ხელი კარგის წიგნების კითხვას; თანაც თავისი ნიჭიც დაეხმარა და ცოტად გაივითარა გონება, შეიმუშავა აზრი.

მელო კეთილის გულისა და მშვიდის ხასიათისათვის ყველას საყვარელი იყო. ტასო და მელო ბავშვობიდანვე მეგობრები იყვნენ, ერთმანეთზე უკეთესი არა ჰყავდათ-რა. ტასო თავის მეგობარზე ადრე გათხოვდა. თუმცა გვარიან კარგი დუხჭირი იყო, მაგრამ დიდის მზითვისათვის შეირთო ვანო კალანდარაძემ, სამსახურში მყოფმა, კარგმა ყმაწვილმა კაცმა. ტასოს გაგიჟებით შეუყვარდა ვანო და ბევრის ცდის შემდეგ ტასოს მხრივ, ვანომაც შეირთო. ტასოს თუ სილამაზე აკლდა, სამაგიეროდ ადამიანობით სავსე იყო, რის გამოც ვანომ დააფასა ცოლი და ბედნიერად სცხოვრობდნენ.

ტასო რამდენსამე თვეს დარჩა ჯვარ-დაწერილი თავის სამშობლოში და თანდათან მატულობდა მისი და მელოს სიყვარული და მეგობრობა. ხშირად ეტყოდა ტასო მელოს:—ნეტავი ჩემს ბედს ისიც მოემატოს, რომ შენც ჩემს ახლოს გათხოვდებოდეო! დიდი ხანი არ გასულა, ტასოს სურვილი შესრულდა და მელოც მისი მეზობელი შეიქმნა. ნინო, დათიკოს ახლოს ნათესავიც, ძრიელ შეეთვისა ამათ, რადგან ისიც ისეთისავე კარგის გულისა და კარგი სამეგობრო იყო. ნინოს მელო ისე შეუყვარდა, რომ იმაზე უკეთესი აღარავინ ეგულებოდა. ნინო ობოლი იყო, ძმები ჰყავდნენ, მაგრამ სამსახურში იყვნენ შორს და ამიტომ ყოველთვის ზაფხულობით სასწავლებლიდამ თავის ნათესავ დათიკოსთან მოდიოდა ხოლმე.

(შემდეგი იქნება)

არ უდალატნია გლადსტონისათვის. თუმცა როზბერი მხოლოდ 39 წლისა იყო, მაგრამ როდესაც კვლავ გლადსტონს ჩაუვარდა ხელთ სამინისტრო, გლადსტონმა როზბერის გარეშე საქმეთა მინისტრობა მიანდო თავისს 1886 წლის კაბინეტში, რომლის არსებობამაც მხოლოდ ნახევარს წელიწადს გასტანა. მაშინათვე შეეტყო ლორდ როზბერის სიმტკიცე საერთაშორისო საქმეებში, რომლებიც ბულგარიასა და სერბიას შორის ამტყდარმა ბრძოლამ გამოიწვია. სამინისტროს დაცემის შემდეგ ლორდ როზბერი გლადსტონთან ერთად მხნედ იბრძოდა ჰომრულის სასარგებლოდ.

როდესაც იგი ლონდონის ქალაქის საბჭოს პრეზიდენტად ამოირჩიეს, დიდთა ცვლილებათა შემოღების მსურველთ მიემხრო და ამისათვის კონსერვატორები ძალიან ჰკიცხავდნენ. დაუბრუნდა თუ არა უფლებას გლადსტონი 1892 წელს, როზბერმა კვლავ იკისრა გარეშე საქმეთა მინისტრობა იმის კაბინეტში, რომლის მეთაურიც ეხლა შეიქმნა. ამბობენ, რომ გლადსტონის უკანასკნელ კაბინეტის შედგენის დროს როზბერიმ თავისის გავლენით უარ-ჰყო ლაბუშერის, უმწვერვალეს რადიკალთა მეთაურის კანდიდატობა, რომელიც სამინისტროს ერთი წევრთაგანი უნდა გამხდარიყო. ხოლო მას შემდეგ მან დიდი ნაბიჯი გადადგა მარცხნივ, შეტადრე იმითი, რომ მედიატორობა იკისრა მუშათა და მექარხნეთა შორის. როდესაც უკანასკნელად მუშაობა აღკვეთეს ქვა-ნახშირის მადნის მუშებმა და კეთილადაც დააბოლოვა ეს საქმე.

როგორც ამბობენ, როზბერის ჰსურს, რომ ინგლისს გარეშე პოლიტიკაში უფრო დიდი ადგილი ეჭიროს, ვიდრე გლადსტონი იყო ამის მოწადინებული. ამბობენ იმასაც და, მგონი, საფუძვლიანადაც, რომ იგი სამთა კავშირისა უფრო მომხრეა, იმ სამთა კავშირისა, რომელსაც გლადსტონი მხოლოდ აუცილებელ საჭიროების გამო ეკიდებოდა მეგობრულად. ეს გარემოება აშკარადა სჩანს ამის წიგნიდგანაც, რომელსაც «ვილიამ პიტტის ცხოვრება» ეწოდება. ამ მხრივ იგი სრულიად არ ეთანხმება რადიკალებს, რომელნიც გარეშე პოლიტიკის გაძლიერებისა და გაფართოების წინააღმდეგნი არიან და უფრო ინგლისის ნეიტრალიტეტად ყოფნას აჯობინებენ.

ლორდ როზბერს ცოლად ჰყავდა როტშილდის გვარეულობის ქალთაგანი, ბარონ მეიერის ქალიშვილი, რომელიც 1890 წელს გარდაიცვალა. როზბერის დოღი ძალიან უყვარს, ცხენების მოყვარულია და ამ მხრივ დიდად ცნობილია ინგლისში.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ლონდონის Prince of Wales Theatre-ის სცენაზედ ამ ჟამად წარმოდგენებსა ჰმართავს ერთი დასი, რომელიც სულ ქალებისაგან შესდგება. მამაკაცების როლებს ქალები ასრულებენ. ამას წინად წარმოადგინეს შექსპირის კომედია «როგორც გნებავთ». ამ პიესაში მხოლოდ სამი როლია ქალისა (ცელია, ფება და როზალინდა, რომელთა შორის ეს უკანასკნელი ისევ მამაკაცია, დედაკაცის ტანისამოსში გამოწყობილი). დანარჩენი რვა როლი, თუმცა მეველნი, კარის-კაცნი და მონადირენიც არ ვიანგარიშოთ, მამაკაცის როლებია. ამის და მიუხედავად ამ ქალების დასი საუცხოოდ არდგენს მამაკაცთა როლებს. ეს წარმოდგენა სრულიად ეწინააღმდეგება იმ წარმოდგენებს, რომელიც შექსპირის დროს იმართებოდა. დედოფალ ელისაბედის დროს ქალებს აღკრძალული ჰქონდათ სცენაზედ თამაშობა და კომედია „როგორც გნებავთ“-ის წარმოდგენაში ქალების როლებსაც მამაკაცები ასრულებდნენ.

## გამოსადეგი ცნობა

ყივანა-ხველის წამალი. საფრანგეთის მკურნალნი შავერნი და გასტელანი ამბობენ, რომ ყივანა-ხველას მალიანა ჰშველის ნავტალინი. ბევრჯელ გამოუცდიათ ამ მკურნალთ და არც ერთხელ ცუდად არ ჩავლია ამ საშუალებას. 3—4 მისხალი ნავტალინი ჩასდეთ ფაიფურის ჯამში, ან სხვა ჭურჭელში და დადგით ნელს ცეცხლზე, მაგალ., სპირტის ლამპარზედ. ნავტალინი დადნება თუ სითბო 75° იყო ცელ. (60° რეომ.), და ვერცხლის ფერად აუვა ორთქლი, რომელსაც იასამნის სუნი ექნება. ამ ორთქლს დააკმევენ ავადმყოფის ოთახში. რაც უნდა ძლიერი ხველა ჰქონდეს, ეს წამალი დიდად არგებს.

არ-კი უნდა დაივიწყოთ, რომ ნავტალინი მხოლოდ ისე გაათბოთ, რომ ორთქლად ავიდეს, თუ გადაამეტეთ, მაშინ ისრჩოლებს და უფრო ავნებს, ვიდრე არგებს ავადმყოფს.

## სასამართლოს მატიანე

სენაკის ფოსტის გაძარცვის საქმე.

პირველს მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია „სენაკის ფოსტაზე თავ-დასხმის საქმე“. ბრალდებულნი: ერისთავი, ლორთქიფანიძე, ქაჯაია და დევდარიანი პალატამ დამნაშავედ იცნო და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალითაც გაგზავნილ უნდა იყვნენ კატორგაში.

საქმის გარჩევის დროს დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით იმ გარემოებამ, რომ პალატის პროკურორმა ქაჯაიასა და დევდარიანის ბრალდებულად ცნობაზედ სრულიად უარი განაცხადა; ლორთქიფანიძის შესახებ-კი სთქვა: «თუ სასამართლო არ დასდებს ფასს ერთის მოწმის, სიტყვას, რომელიც ამბობს, რომ ბრალდებული ლორთქიფანიძე ვნახე იმ ღამეს ვაგონში ჩქარა გავლილი, როდესაც სენაკის ფოსტას ავაზაკები თავს დაესხნენო, მაშინ ვერც ლორთქიფანიძის ბრალდებას ვიკისრებო». მაგრამ ამ მოწმის ჩვენებაც, როგორც აღმოჩნდა, სასამართლოში დარღვეულ იქმნა თვით იმავე მოწმისგან, რომელმაც ვეღარ იცნო ლორთქიფანიძე, როდესაც წარადგინეს, და ეთქვა: ის თეთრჩოხა, რომელზედაც მე ვამბობ, უფრო მაღალის ტანისა იყო. ამას გარდა, სხვა მოწმეებმაც განაცხადეს, რომ იმ საღამოს ლორთქიფანიძე შავის ჩოხით უნახავთ სამტრედიის სადგურზედაო. პალატისაგან დამნაშავეთ ცნობილთ იცავდნენ ნაფიცი ვექილები: ქიჩაქიძე, ლორთქიფანიძე, ოპოჩინინი და ტერ-სტეფანოვი.

ბრალდებულთ საქმე სენატში გადააქვთ.

# დეპეშა

1 მარტი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭო მოისმენს: ა) საქმეს სახელმწიფო ბანკის ახალის წესდების დამტკიცებისას, ბ) გზატკეცილ და მდინარის გზების ადგილობრივ სამმართველოში შემოსაღებ ცვლილებათა საქმეს და გ) იმ ღონისძიებათა შესახებს, რომ თავად-აზნაურობას მამულ-დედული არ ეცლებოდეს ხელიდგან.

**ბერლინი.** პალატამ მოიწონა რუსეთ-გერმანიის ხელ-შეკრულობის დანარჩენი ნაწილიცა.

**ლონდონი.** ლიბერალთა დასის კრებაზედ ლორდ როზბერიმ განაცხადა, რომ ახალის სამინისტროს დაარსებით პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მოხდება; მხოლოდ მინისტრთა შორის მოხდება ცვლილება; მე ისევ ირლანდიის ბილლის განხორციელების მომხრე ვარ და ჩემს დასსაც პატიოსნება ავალებს არ შესწყვიტოს ამ ბილლთან კავშირიო. ახალი მინისტრ-პრეზიდენტი სრულიად ეთანხმება გლადსტონის აზრს ორ პალატათა შორის არსებულ დამოკიდებულების შესახებ. აწინდელი ლორდთა პალატა კრებულია ტორიებისა, რომელთაც ხელმძღვანელად ჰყავთ ლიდერი კონსერვატორი და ასეთი ლორდთა პალატა აწინდელს საქმეთა ვითარებას სრულიად არ შეეფერება და არ შეესაბამება; მთავრობა თავის მოვალეობადა სთვლის ყოველივე საშუალება იხმაროს, რომ ეს შეუსაბამო ომი აცილებულ იქმნას.

2 მარტი

**ბერლინი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა მარშალმა სამჯერ დაიცვა რუსეთის ხელ-შეკრულობა მოწინააღმდეგეთაგან. აგრარიებმა, კენჭის ყრის შემდეგ, გამოაცხადეს, რომ გერმანიის სასოფლო მეურნეობა დაიღუპაო, რომ რუსეთი აავსებს ჩვენს ქვეყანას ჯერ პურით, მერე ურიებითაო, რომ ერთი გერმანელი გლეხი ძვირფასია ჩვენთვის ათასს რუსთა ურიაზედაო და რომ ჩვენ მაინც განვაგრძობთ ბრძოლასაო.

3 მარტი

**ვენა.** ვენისა და ჰუნგართა პარლამენტმა მიიღო კანონთ-პროექტი რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულობის დროებით მორიგებისა.

**ლონდონი.** დედოფალი ვიქტორია ფლორენციაში წაბრძანდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ გულითადი მადლობა გამოუცხადოთ თქვენის გაზეთის შემწეობით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას, რომელმაც შემოსწირა ქუთაისის საკვირაო სკოლას შემდეგი წიგნები: 10 ცალი ბუნების კარი; 10 ცალი „Русское Слово“ II ნაწილი ი. გოგებაშვილისა და თითო ცალი: 1. რობინზონ კრუზო, 2. შინაური საქონელი, 3. გიორგი ბრწყინვალე ნ. ურბნელისა, 4. მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. 5 კრილოვის არაკები აკაკის თარგმანი, 6. ცა და დედამიწა, 7 შექსპირის დრამები, ხომლი, 9. რუხი მგელი, 10. ალი 11. ასპინძის ომი, 12 ლენტის მსგავსი ჭიები, 13. ბუნების მოვლენანი, 14. კიკოლას ნაამბობი, 15. თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა, 16. მოლა მასრადინის მოსწრებული სიტყვები, 17 საუკეთესო ცოდნა, 18. არაკები საბა სულხან ორბელიანისა, 19 ვიქტორ ჰუგოს რომანიდამ, 20. ლექსები ვახტ. ორბელიანისა, 21. იგავ-არაკნი კრილოვისა, თარგმანი რ. ერისთავისა, ჩარკვიანის გამოცემა, 22 იგავ არაკნი სიბრძნე-სიცრუიდგან რ. ერისთავისა, 23. თხზულებანი რ. ერისთავის I, 24 იგივე II ტ. და 25 დასურათებული ვეფხვის-ტყაოსანი გ. იოსელიანისა.

ქუთაისის საკვირაო სკოლის დამაარსებელნი

ქ. ქუთაისი.

1894 წ. თებერვლის 24.

## „ივერიის“ ფოსტა

**ივ. ნი—ვილს.** თქვენი ლექსი „ნაწყვეტი“ არ დაიბეჭდება. კილო თითქო ხალხურის ლექსისა აქვს. პოეზიის მცირედი ნაპერწკალიც ეტყობა თითქო, მაგრამ ლექსის ლირიზმი ისეთს საძირკველზეა აგებული, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

**ქ. ბ—ს. ს. ს. ლ—ს.** გიგზავნით, რასაც ითხოვთ, თუმცა რედაქციის განცხადებაში ცხადადა და გარკვევით სწერია, რომ იმ ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში არ მოითხოვა პატრონმა, მერე ვეღარ მოსთხოვს რედაქციას, თქვენი ხელ-ნაწერი-კი 11 იანვრის თარიღით არის გამოგზავნილი.

**სოფ. ყ—ს ი. ი. ლ—ს.** გიგზავნით სიტყვას, პატარა ლექსი-კი და სხვა თქვენი ნაწერები ყ—ის ცხოვრების შესახებ არა სჩანს რედაქციის ხელ-ნაწერთა შორის. არ ვიცით, როდის რა გამოგვზავნეთ და ან რა სახელწოდებით.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

ე. ი. ფრანცეუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**შვედურს მაღაზიაში;** მიხაილოვის ქუჩაზედ, № 99 მივიღეთ ახალი **„თესლეულობა“** ბოსტნეულობისა, ყვავილებისა და ბალახეულობისა, აგრეთვე ახალი შვედური ორთქლით მოხარშული შვრიის **„ფქვილი და კრუპა“** დიდად მარგებელი საზოგადოდ და განსაკუთრებით ავადმყოფ და გამხდარ ბავშვებისათვის. აქვე მივიღეთ ახალი კუხნა **„პრიმუს“** რომელიც უპატრუქოთ აინთება ნავთით. პრეისკურანტები გაეგზავნებათ ურველთ უფასოდ. (10—8)

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

**საპონი**

პროვიზორი

**ა. მ. ოსტროუმოვისა**

სრულიად ჰკარგავს თავის თებოს, თმას ზრდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(20—4)

**კრებული ტფილისის მთაწმინდის მ. დავითის ეკკლესიისა** აცხადებს, რომ საეკკლესიო მამული, შეწირული ქვრივის ანდრეევსკის მიერ ხსენებულ ეკკლესიის სახელობაზედ

**„სალორისი“**

მდებარე კოჯორის ახლოს—დიდებასა და სამძღვროს შუა, სივრცით 147 დესეტინა,

გაიცემა იჯარით.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ პირობების შესატყობად ხსენებულ ეკკლესიის მღვდელს, ან ამავე ეკკლესიის მნათეს კ. დ. თეთრაძეს 10 მარტამდინ. (2—2)

თესლეულობით ვაჭრობა

ბ. ბ. ლარშესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მივიღე

**ახალი თესლეულობა**

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—5)


Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Марта 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე